

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
ბავშვის უფლებათა კოდექსი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოში არ არსებობს ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვა, სისტემური მიდგომა, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა ბავშვის კეთილდღეობა. ყველა კონკრეტულ სახელმწიფო უწყებას გააჩნია საკუთარი რეგულაცია, ძირითადად, კანონქვემდებარე აქტების სახით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არ არის ძლიერი მექანიზმი ბავშვთა კეთილდღეობის მიღწევისთვის და არ შეესაბამება საქართველოს მიერ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. არ არსებობს კოორდინაციის მექანიზმი, რაც აფერხებს სახელმწიფო უწყებების საქმიანობის ეფექტიანობას და რაციონალური მაქსიმუმის მიღებას იმ ადამიანური და ფინანსური რესურსებიდან, რაც სახელმწიფოს გააჩნია.

არ არსებობს ბავშვის უფლებების დაცვის ერთიანი ხედვა. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ბავშვის უფლებათა დაცვის ძლიერი სისტემა. მნიშვნელოვანია, ბავშვმა შესაბამისი ასაკიდანვე იცოდეს საკუთარი უფლებების შესახებ და ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენციები ამ უფლებების დასაცავად. იმავდროულად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, სადაც ადამიანები საკუთარის გარდა, სხვათა უფლებებს სცემენ პატივს, სადაც ადამიანები სოლიდარულნი არიან ერთმანეთის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ განათლების სისტემა კანონის დონეზე იყოს ვალდებული შეიმუშავოს ისეთ პროგრამები, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება გარანტი სოლიდარული საზოგადოებისა, სადაც ადამიანები ერთმანეთის უფლებებს სცემენ პატივს და გაცნობიერებული აქვთ როგორც საკუთარი უფლებები, ასევე როლი და პასუხისმგებლობა იმ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გაამლიერებდა ოჯახს, როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტს და განსაზღვრავდა ოჯახის განსაკუთრებულ როლს ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი გარემოს უზრუნველყოფაში. აღიარებულია, რომ ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, იმისათვის, რომ ის მომზადდეს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს

მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ოჯახი და შეიქმნას გარანტიები ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობისთვის.

ბავშვთა სიღარიბე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. სხვადასხვა უწყებებს აქვთ ბავშვთა სიღარიბის დაძლევის ცალკეული პროგრამები, თუმცა არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი, სისტემური ხედვა, თუ როგორ არის შესაძლებელი სხვადასხვა უწყებების კოორდინირებული საქმიანობით დაიძლიოს, როგორც მოკლევადიან, ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გამოწვევა. ბავშვთა სიღარიბე არ არის მხოლოდ კონკრეტული ოჯახების მატერიალური სიდუხჭირის მიზეზი კონკრეტულ დროში. მას გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს და მოიცავს მათ შორის, განათლების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, გარკვეული გამოწვევების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციის, ძალადობისგან დაცვის და სხვა საკითხებს. ამდენად, აუცილებელია არსებობდეს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრას.

პრევენციული მექანიზმების ნაკლებობა იწვევს სიღარიბის, კრიმინალის, სხვადასხვა მავნე ჩვევების და დამოკიდებულებების (ნარკოტიკები, აზარტული თამაშები, ალკოჰოლიზმი), ძალადობის ზრდას საზოგადოებაში და სახელმწიფო მუდმივად არის რეაგირების რეჟიმში, რაც დიდ მორალურ ზიანთან ერთად ინდივიდებისთვის, ოჯახებისთვის, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის, დიდ მატერიალურ დანახარჯებს იწვევს ქვეყნისთვის. ცნობილია, რომ პრევენციაში ჩადებული თანხა, ერთი ათად უბრუნდება ქვეყანას სიკეთის სახით სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის, ფინანსური სიკეთით.

მნიშვნელოვანია არსებობდეს სამართლებრივი საფუძველი სახელმწიფოს მხრიდან ბავშვის მოხალისეობის პროგრამების წახალისების, რომელიც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს სოლიდარული, მზრუნველი საზოგადოების ჩამოყალიბებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ძალადობის იმ მასშტაბების გათვალისწინებით, რომელ მასშტაბებსაც საქართველოში ბავშვთა მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობამ მიაღწია, აუცილებელია შეიქმნას ბავშვის ძალადობისგან დაცვის სისტემა. თითოეული ბავშვის დაცვისათვის აუცილებელია შეიქმნას შშმ ბავშვთა მხარდაჭერის მყარი საფუძველი.

დიდ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის დაცვა საჯარო სივრცეში, რომელიც მოიაზრებს ბავშვის დაცვას მავნე ზეგავლენისგან: ალკოჰოლის და ნარკოტიკის, კლუბების და გასართობი დაწესებულებების, თამბაქოსა და სხვა. ასევე, ეფექტიანი რეგულირების მიღება ბავშვის დაცვა მედია სივრცესა და ინტერნეტში, მათ შორის, მავნე ზეგავლენის მქონე განსაკუთრებულად უხამსი და ძალადობრივი ინფორმაციის

შემცველი ფილმების, ბეჭდური მედიის და ა.შ. შემთხვევები, რაც მეტად ზრდის ძალადობის და დევნიაციური ქმედებების იმ მასშტაბებს, რომელიც სამწუხაროდ განსაკუთრებით შეინიშნება საქართველოში უკანასკნელ წლებში. არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხოებას ჯგუფური ტრანსპორტირების (ექსკურსიების) შემთხვევაში. სამწუხაროდ ასეთი გარანტიების არარსებობის გამო არაერთ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მნიშვნელოვანია საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხოებას ჯგუფური ტრანსპორტირების (ექსკურსიების) შემთხვევაში. სამწუხაროდ ასეთი გარანტიების არარსებობის გამო არაერთ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ქვეყნის სისტემა არის თითქმის მთლიანად ცენტრალიზებული, სადაც ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინება, რაც როგორც წესი, ადგილობრივ ხელისუფლებას არ ხელეწიფება, ბავშვთან მიმართებით არ ხდება. ამასთანავე, როგორც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში განისაზღვრა, დეცენტრალიზაცია არის საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის პრინციპის გაშლა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებით, რაც, როგორც საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, გააძლიერებს ბავშვთა უფლებების, მხარდაჭერისა და საჯარო სივრცეში ბავშვთა დაცვას.

ბავშვთა მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტიც, რომ არ არსებობს აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ბავშვის უფლებებს ჯეროვნად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაიცავს. ამდენად, აუცილებელია კონტროლის მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს იმ დაწესებულებების უწყვეტ მონიტორინგს, რომლებიც ახორციელებენ ბავშვის უფლებების დაცვის, ბავშვის მხარდაჭერისა და საჯარო სივრცეში ბავშვთა დაცვის სხვადასხვა პროგრამებს. ამ მიმართულებით, სხვადასხვა მექანიზმებთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს სახალხო დამცველი და სასამართლო.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ამ კოდექსით განსაზღვრული ბავშვის უფლებების, მისი დაცვის და მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ფუნქციონირებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის განვითარებას მისი ინდივიდუალობის, საზოგადოებრივი ინტერესების და ღირებულებების გათვალისწინებით, აგრეთვე, მის ორიენტირებას შრომაზე, როგორც მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის ერთადერთ მორალურად გამართლებულ საშუალებაზე, ორიენტირებას ოჯახზე, როგორც ფუნდამენტურ ღირებულებაზე საზოგადოების სოციალურ ორგანიზაციაში და საზოგადოებისა და ინდივიდის ერთ-ერთ ძირითად ღირებულებაზე, ორიენტირებას ცხოვრების ჯანსაღ წესზე, როგორც საზოგადოების განვითარების უცილობო წინაპირობაზე და ორიენტირებას მოხალისეობაზე, როგორც

სამოქალაქო აქტივობის და სოლიდარული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ელემენტზე.

ერთიანი ხედვის, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, კოდექსის მიღებით იქმნება სახელმწიფოს სისტემური ხედვა, სამართლებრივი საფუძველი ბავშვის კეთილდღეობისთვის.

თუმცა, მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველის შექმნის გარდა, იმისათვის, რომ ამ კანონმა რეალურად გადაჭრას ზემოთ აღნიშნული პრობლემები, აუცილებელია **აღსრულების კონკრეტული მექანიზმებით კოდექსის აღჭურვა**, რაც მის სრულფასოვან იმპლემენტაციას უზრუნველყოფს. ასეთი მექანიზმებია:

) კონკრეტული, კრიტერიუმებზე დაფუძნებული პროგრამები, მათი დამტკიცებისა და ამოქმედების ვალდებულების გაწერა კანონში კონკრეტულ ვადებში.

) საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის, სპეციალური საბჭოს შექმნა, რომელიც ბავშვის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული.

) კოდექსის საიმპლემენტაციო გეგმის შექმნა და დამტკიცება, რაც ასევე კოდექსითაა გათვალისწინებული.

) სახალხო დამცველის როლის გაძლიერება.

) იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილებების გაფართოება.

) სასამართლოს გაძლიერება, რომელიც იქნება თითოეული ბავშვის უფლების დაცვის ეფექტიანი კონკრეტული მექანიზმი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

) განისაზღვრება სახელმწიფო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის კეთილდღეობას და დაცვას

) გრძელვადიან პერსპექტივაში შემცირდება სიღარიბე, კრიმინალი, ძალადობა, ნარკო/ალკო/თამაშდამოკიდებულება.

) გაძლიერდება ოჯახი და შეიქმნება გარანტიები ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობისთვის.

) გაძლიერდება ბავშვის სოციალური მხარდაჭერის, ცხოვრების სათანადო პირობებისა და განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები.

) შეიქმნება ბავშვის მხარდაჭერის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ბავშვებს, მათ შორის გარკვეული სირთულეების მქონე ბავშვების საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას.

) შეიქმნება ბავშვის ინტერნეტიდან და მასმედიიდან მომდინარე ძალადობის, უხამსობის და სხვა მავნე შინაარსისგან დაცვის სისტემა.

) შეიქმნება მექანიზმები ბავშვის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზების.

) შეიქმნება ბავშვის ძალადობისაგან დაცვის პრევენციის მექანიზმები, მათ შორის ბავშვთა შორის ჩაგვრა ე.წ. „ბულინგი“.

) ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე ზრუნვა სისტემურად მოხდება ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში აღიარებულ პრინციპს, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვების უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას“.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია ემყარება მიდგომას, რომლის თანახმადაც, ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, და ბუნებრივი გარემოცვა ყველა მისი წევრისა და განსაკუთრებით ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო დაცვითა და ხელშეწყობით. შესაბამისად, აღიარებულია, რომ ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი მომზადებული იყოს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებულ იდეალებზე, განსაკუთრებით მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

იმის გათვალისწინებით, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების შექმნით, უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიზნების მიღწევას, საქართველოს კანონის „ბავშვის კოდექსი“ მიღების მიზანია, შექმნას ზოგადი სამართლებრივი საფუძველი „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების რეალიზაციისათვის სახელმწიფოში არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით და, აუცილებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

ბავშვის კოდექსი შედგება 4 კარის, 14 თავის და 100 მუხლისგან:

კოდექსის პირველი კარი განსაზღვრავს ზოგად დებულებებს, რომელიც მოიცავს ორ თავს: პირველი თავი, ადგენს შესავალ დებულებებს, როგორცაა კოდექსის რეგულირების სფერო, კოდექსის მიზანი და კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები, ხოლო მეორე თავი ადგენს ბავშვის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს.

კოდექსი ეფუძნება პრინციპს, რომ ის არ აუქმებს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს, არამედ მისი მიზანია განამტკიცოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის, განმარტების და აღსრულების ვალდებულებას საქართველოს კონსტიტუციის, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით. ამ მიზანს ემსახურება კოდექსში მოცემული ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამართლებრივი ინსტრუმენტების განსაზღვრა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოდექსი არის სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა და საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტები და ფიზიკური პირები ბავშვებთან და ბავშვთა საკითხებზე საქმიანობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კოდექსის მიერ გაცხადებული მიზანი, მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა, განმარტებულია, როგორც ბავშვის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მორალური განვითარების და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე, მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იმის დადგენა, გვაქვს თუ არა ამ განმარტებაში მოცემული მიზანი.

იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის მიღების მიზანია შექმნას სამართლებრივი საფუძვლები ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემის და ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის შექმნის და ფუნქციონირებისათვის, კოდექსში ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა განმარტებულია, როგორც კანონმდებლობა, პოლიტიკა, რეგულაციები და მომსახურებები სოციალური კეთილდღეობის, განათლების, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სისტემებში, რაც ემსახურება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული რისკების პრევენციასა და აღმოფხვრას. ბავშვთა დაცვის სისტემა მხარს უჭერს და აძლიერებს ბავშვს და მის აღზრდაზე პასუხისმგებელ პირებს, რათა ხელი შეუწყოს სოციალურ ინკლუზიას და მაქსიმალურად შეამციროს ოჯახიდან ბავშვის განცალკევების რისკები. ბავშვთა დაცვის სისტემა ემსახურება ოჯახში, განათლების, ჯანდაცვის, მართლმსაჯულების სისტემაში და სხვა ნებისმიერ ადგილას ბავშვთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის, მათ შორის, ფიზიკური დასჯის, სასტიკი,

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგის, ბავშვით ვაჭრობის, ზიანისშემცველი ტრადიციების პრევენციასა და აღმოფხვრას. ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემა კი განმარტებულია, როგორც სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა ზომების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება ბავშვის შესაძლებლობების გაძლიერებას მისი ყველა უფლებისა და თავისუფლებების მის მიერვე დამოუკიდებლად განხორციელების მიზნით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობით, მისი მოსაზრებების მოსმენითა და მონაწილეობის უზრუნველყოფით, დისკრიმინაციის გარეშე.

ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ფუნქციონირების მიზნით იქმნება **ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის პროგრამები**, რაც განმარტებულია, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, აგრეთვე კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების გატარებას ბავშვთა, მათ შორის, მშობელთა ზრუნვას მოკლებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი მყოფი ბავშვების გაძლიერებისა და დაცვის მიზნით მათი საუკეთესო ინტერესების, მონაწილეობის, სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, განვითარების, განათლების, სათანადო საცხოვრებელი პირობების, სოციალური დაცვის და მართლმსაჯულებაზე წვდომის მხარდაჭერის გზით, დისკრიმინაციის გარეშე.

კოდექსის **პირველი კარის მეორე თავი (4-23 მუხლები)** განსაზღვრავს ბავშვის უფლებებს და მათი დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. კოდექსი აღიარებს ბავშვის შემდეგ უფლებებს: ბავშვის ღირსება, სიცოცხლის, გადარჩენის და განვითარების უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე, ბავშვის პირადი ცხოვრების და პირადი მონაცემების შენარჩუნების უფლება, აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები, ბავშვის უფლება მასმედიის საშუალებებით ინფორმაციის მიღებაზე, რელიგიის და სინდისის თავისუფლება, გაერთიანების და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, ბავშვის უფლება თამაშსა და დასვენებაზე, ბავშვის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ბავშვის ინტელექტუალური შემოქმედების უფლება, ბავშვის უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების შემუშავებაში. კოდექსში მოცემული ეს უფლებები არ არის ამომწურავი და კანონი არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ ბავშვის სხვა უფლებებს. ბავშვის კოდექსის ამ თავში ცალე არის გამოყოფილი ბავშვის უფლება მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის

საუკეთესო ინტერესებს, რაც უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, თითოეულ ბავშვთან მიმართებით ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად. კოდექსით დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულებების და იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას.

ბავშვის ამ თავით დადგენილი უფლებები არ არის შეუზღუდავი. უფლების დამდგენი ცალკეული ნორმები არ შეიცავს მისი შეზღუდვის საფუძვლებს იმის გათვალისწინებით, რომ ეს უფლებები ექვემდებარება კონსტიტუციით განსაზღვრულ შეზღუდვებს.

კოდექსის მეორე კარი განსაზღვრავს ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის და მხარდაჭერის სისტემას. ბავშვის უფლებების დაცვის კონტექსტში კოდექსის მეორე კარის მესამე თავი (24-28 მუხლები) ადგენს ბავშვს უფლებას ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. ამ უფლების რეალიზებას ემსახურება კოდექსით დადგენილი მშობლის, როგორც ბავშვის უფლებების ერთ-ერთი სამართლებრივი გარანტორის მოვალეობა ბავშვის აღზრის, მათ შორის, ბავშვის რელიგიური აღზრდის სფეროში, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის აღზრდის და უფლებების დაცვის პროცესში მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს, ბავშვის აღზრდელობითი დაწესებულებების და მშობლების თანამშრომლობითი მონაწილეობა. მშობელი ვალდებულია ბავშვი აღწარდოს ოსე, რომ ბავშვის აცნობიერებდეს მის მოვალეობებს ოჯახის, საგანმანათლებლო და აღზრდელობით დაწესებულებების, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია ემყარება მიდგომას, რომლის თანახმადაც, ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, და ბუნებრივი გარემოცვა ყველა მისი წევრისა და განსაკუთრებით ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო დაცვითა და ხელშეწყობით, რათა შეეძლოთ მთლიანად იკისრონ ვალდებულებანი საზოგადოების ფარგლებში. შესაბამისად, აღიარებულია, რომ ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი მომზადებული იყოს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებულ

იდეალებზე, და, განსაკუთრებით მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

ამ თავით გარანტირებული ბავშვის უფლების დაცვის და მხარდაჭერის მიზნით უფლებამოსილი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები ქმნიან ბავშვის აღზრდის განმახორციელებელი პირების მხარდაჭერის პროგრამებს მატერიალური და არამატერიალური დახმარების გაწევის მიზნით. მხარდაჭერის შინაარსი, მოცულობა და მიწოდების ხანგრძლივობა განისაზღვრება ბავშვისა და მის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით.

კოდექსის მეორე კარის მეოთხე თავი (29-34 მუხლები) ადგენს ბავშვის უფლებას ალტერნატიულ ოჯახურ ზრუნვაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭერა აღმოუჩინოს ბავშვს, რომელიც დროებით ან სამუდამოდ მოკლებულია მშობელთა ზრუნვას, ან როდესაც მისი ოჯახში დარჩენა ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ეს უფლება ასევე მოიცავს სახელმწიფო ზრუნვას ალტერნატიული ზრუნვიდან გამოსულ ახალგაზრდებზე, რომელთაც სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ გარდამავალ პერიოდში, ესაჭიროებათ მხარდაჭერა.

რამდენადაც ბავშვის ალტერნატიული ზრუნვაში განთავსება უკიდურესი ზომაა მისი უპირატესი მიზანი უნდა იყოს ბავშვის ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობა, ხოლო ამ შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, ბავშვის უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფა, როგორცაა ბავშვის შვილად აყვანა. თუ შვილად აყვანა არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის განთავსება ნათესაურ, გადაუდებელ, ჩამნაცვლებელ ან სპეციალიზებულ მინდობით აღზრდაში. ბავშვის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდაში ბავშვის განთავსების შეუძლებლობის შემთხვევაში, როგორც უკიდურესი აუცილებლობა, განიხილება მცირე ოჯახური ტიპის რეზიდენტული ალტერნატიული ზრუნვა, იმ პირობით თუ დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს, აუცილებელი და ხელშემწყობია ბავშვის განვითარებისა და საუკეთესო ინტერესების რეალიზებისთვის. რეზიდენტული ზრუნვის წესსა და პირობებს ადგენს ეს კოდექსი და საქართველოს კანონი „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“. ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების გადაწყვეტილება მიიღება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი პროფესიული კადრებისგან დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური ჯგუფის შეფასებაზე და რეკომენდაციაზე დაყრდნობით ბავშვზე მორგებული პროცედურებით და ბავშვის მონაწილეობით, რამაც უნდა უზრუნველყოს დაბალანსებული გადაწყვეტილებები მიღება. კოდექსის ამ თავის მოთხოვნაა, რომ ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ყველა ბავშვი, მათ შორის,

განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ზოგად სისტემებში.

კოდექსის ეს თავი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას დაადგინოს მინდობით აღმზრდელთა რეგისტრაციისა და რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების სალიცენზიო პირობები და ბავშვზე ზრუნვის ერთიან სტანდარტები. ბავშვი არ შეიძლება იქნას მოთავსებული ალტერნატიული ზრუნვის ისეთ მომსახურებაში, რომელიც არ შეესაბამება ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს და არ არის ლიცენზირებული კანონის შესაბამისად. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტები სავალდებულოა ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ნებისმიერი ფორმისთვის, საჯარო და კერძო დაწესებულებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ბავშვზე ზრუნვის მოკლე ან გრძელვადიან პროგრამებს. ასევე დადგენილია ბავშვის უფლება, რომელიც მოთავსებულია დაწესებულებაში ზრუნვის, დაცვის ან მკურნალობის მიზნით, დაწესებულებაში დარჩენის საჭიროების და სხვა გარემოებების პერიოდულ შემოწმებაზე, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.

კოდექსის მეორე კარის მეხუთე თავი (35-39 მუხლები) ადგენს ბავშვის განათლების მხარდაჭერის პროგრამების და ღონისძიებების სამართლებრივ საფუძვლებს. მოწესრიგების მიზანია, რომ ბავშვისთვის შეთავაზებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი განვითარების ხელშემწყობი განათლების პროგრამები. ასეთმა პროგრამებმა უნდა უზრუნველყოს ბავშვის პიროვნების, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, ბავშვის ადამიანის უფლებების და თავისუფლებებისადმი, მისი მშობლებისადმი, ქვეყნის კულტურული, ენობრივი, ეროვნული და რელიგიური ღირებულებებისადმი და განსხვავებული ცივილიზაციებისადმი და რელიგიებისადმი პატივისცემის უნარების გამომუშავება.

ბავშვის განათლების მხარდაჭერის პროგრამები არ ცვლის საგანმანათლებლო პროგრამებს, არამედ ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების და პერსონალის ბავშვის განათლების მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვას, რაც გულისხმობს განათლების უფლების დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოფხვრის პროცესის ხელშეწყობის გზით ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებისა და სხვა ძირითადი პერსონალის პროფესიული განვითარების ეროვნული სისტემის შექმნას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ხარისხიანი განათლების უფლების რეალიზებისთვის;

ბავშვის განათლების მხარდაჭერის სასწავლო პროგრამების შექმნის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამები ეფუძნებოდეს სწავლების ისეთ მეთოდებს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ბავშვის მონაწილეობითი უფლებების რეალიზებას, რაც წარმოადგენს ადრეულ ასაკში ხარისხიანი, ბავშვზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ელემენტს.

ბავშვის განათლების მხარდაჭერის სასწავლო პროგრამების განხორციელება უნდა მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებსა და ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელ კერძო პირებს შორის თანამშრომლობით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობას ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მაქსიმალურად შეძლოს ბავშვის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული მომსახურების უზრუნველყოფა.

ბავშვთა განათლების მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება ხელს უნდა უწყობდეს ბავშვზე ძალადობის და ბავშვის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფის აღმოფხვრას. დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისციპლინის ზომად ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელის ან მოპყრობის გამოყენება. საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს ძალადობის პრევენციის და სათანადო რეაგირების პროგრამები და მექანიზმები, მათ შორის, ბავშვზე ძალადობის შეტყობინების კონფიდენციალური და ეფექტიანი საშუალებები (ცხელი ხაზი, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა). კოდექსი ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის მექანიზმების დანერგვის ვალდებულებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ინფორმაცია მათი საჩივრების განხილვის მექანიზმებზე. საჩივრის განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის მხარდაჭერა კომუნიკაციის, საკუთარი აზრის გამოთქმის და მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების ინსტრუმენტების დანერგვით.

კოდექსის მეორე კარის მეექვსე თავი (40-45 მუხლები) მოცემულია ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის პროგრამების ძირითადი საფუძვლები. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მხარდაჭერის პროგრამა არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფუნქციონირების მხარდაჭერი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომლის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ბავშვის, დედის და ორსული ქალების დაცვის ღონისძიებები. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის რაიმე სახის მომსახურების მიმწოდებელი ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება და ორგანიზაცია ვალდებულია თავისი საქმიანობა განხორციელოს კანონით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, განსაკუთრებით, უსაფრთხოების, ჯანდაცვის სერვისის

ხარისხის, პერონალის პროფესიული კვალიფიკაციის და ეთიკური შესაბამისობის და მონიტორინგის მექანიზმების კუთხით.

კოდექსის მეორე კარის მეშვიდე თავი (46-52 მუხლი) ადგენს ბავშვის უფლებას სოციალურ დაცვაზე, ცხოვრების სათანადო პირობებზე და განვითარებაზე. ეს უფლება, პირველ რიგში გულისხმობს, მის უფლებას ისარგებლოს სოციალური დაცვით ბავშვის და მასზე მზრუნველი პირების მდგომარეობის, ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. ყოველ ბავშვს აქვს უფლება ცხოვრების ისეთ სტანდარტზე, რომელიც შეესაბამება ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების საჭიროებებს. სახელმწიფომ, რესურსების ფარგლებში და საჭიროებისამებრ, უნდა მიაწოდოს მშობლებს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული, მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური დახმარება და მხარდაჭერის პროგრამები განსაკუთრებით კვების, ტანსაცმლის და საცხოვრებელი პირობების კუთხით. ამ ზოგადი საფუძვლების გვერდით, კოდექსის ეს თავი ასევე ადგენს ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერის მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავების ვალდებულებას, რაც უნდა მოიცავდეს ბავშვის სოციალური აქტივობის, ბავშვის სოციალური ინტეგრაციის და ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობის ღონისძიებებს და თავისი შინაარსითა და მეთოდოლოგიით უნდა ემსახურებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, განხორციელდეს ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობით, ხელს უწყობდეს მისი უფლებებით დამოუკიდებლად სარგებლობის უნარების და სხვათა უფლებების პატივისცემის ჩამოყალიბებას. ბავშვის უფლებას ცხოვრების სათანადო პირობებზე გულისხმობს მის უფლებას იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, მისი პიროვნების პატივისცემის, სიყვარულის და ურთიერთგაგების გარემოში. ბავშვს უფლება აქვს ცხოვრების ისეთ პირობებზე, რაც ხელს უწყობს ბავშვის სრულფასოვან ფიზიკურ, ინტელექტუალურ, გონებრივ, სოციალურ და მორალურ განვითარებას. ბავშვის ცხოვრების სათანადო სტანდარტი მოიცავს, სულ მცირე, ბავშვის უზრუნველყოფას კვებით, სუფთა სასმელი წყლით, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებით, პირველად ჯანდაცვაზე წვდომით, ჯანსაღი ცხოვრების წესის, კატასტროფების და უბედური შემთხვევებისგან დაცვის საბაზისო ინფორმაციით და მექანიზმებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აქვს თანაბარი უფლება ცხოვრების სათანადო სტანდარტზე, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ბავშვთა ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობისთვის. ბავშვის ამ უფლების რეალიზაციის მიზნით კოდექსის ეს თავი ადგენს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების და მუნიციპალიტეტების ვალდებულებას ურბანული დაგეგმარების, განაშენიანების, მშენებლობის ნებართვების გაცემის და რეკონსტრუქციული პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ ბავშვის სათანადო ცხოვრების სტანდარტები. სახელმწიფო ორგანოებმა და მუნიციპალიტეტებმა უნდა უნდა შექმნან

სამართლებრივი მექანიზმები და განხორციელონ სათანადო ღონისძიებები თამაშის და დასვენების, რეკრეაციული აქტივობების, კულტურული და სახელოვნებო ბავშვთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ბავშვის სოციალური განვითარების სახელმწიფო პროგრამებს შეიმუშავებს და ახორციელებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სხვა სამინისტროებთან კოორდინაციით და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით. მუნიციპალიტეტები ბავშვის სოციალური განვითარების ღონისძიებებს ახორციელებენ საკუთარი პროგრამების ფარგლებში ან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბავშვის სოციალური განვითარების ღონისძიებები განხორციელება ხდება საკუთარი პროგრამების ფარგლებში ან სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს/მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ბავშვის სოციალური აქტივობის მხარდაჭერის მიზნით, კოდექსი ადგენს ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავების ვალდებულებას, რაც ბავშვის მოხალისეობრივი საქმიანობა გულისხმობს ბავშვის მიერ ნებაყოფლობით და უანგაროდ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც არცერთ შემთხვევაში არ უნდა აფერხებდეს ბავშვის სხვა უფლებების სრულფასოვან განხორციელებას, განსაკუთრებით, უფლებას განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ძალადობისა და მავნე ზეგავლენისგან დაცვაზე. ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობ პროგრამებს შეიმუშავებენ სამინისტროები და მუნიციპალიტეტები კერძო და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს მოხალისეობის პროგრამაში მონაწილე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში წახალისების ხელშემწყობის მიზნით.

კოდექსის მეორე კარის მერვე თავი (53-61 მუხლები) ადგენს ბავშვის უფლებას დაცული იყოს ძალადობისგან, რაც გულისხმობს დაცვას ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულების, დაზიანების, უგულვებელყოფის, დაუდევარი მოპყრობის, წამების, ექსპლუატაციის, ვაჭრობის, ტრეფიკინგის და ძალადობის სხვა ნებისმიერი ფორმისგან. აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება ან სხვა სასტიკი, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი ოჯახში, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებაში, სამედიცინო ან/და ფსიქიატრიულ, სასჯელადსრულების დაწესებულებაში და ნებისმიერ სხვა ადგილას. აღნიშნული ქმედება იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეს უფლება ასევე მოიცავს ბავშვის მიმართ სამედიცინო

დახმარების ან მკურნალობის ან ტრადიციული რიტუალების აღსრულების მიზნით ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც მოიცავს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, წამებას ან სხვა სასტიკ, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას, მათ შორის, სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება რეპროდუქციის უნარის მოსაშლელად, აქტიური ბიოლოგიური მეთოდებით (შოკური, კრუნჩხვითი და სხვა) მკურნალობა, მიუხედავად ბავშვის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა.

კოდექსის ამ თავით დადგენილი უფლების რეალიზაციისათვის განსაზღვრულია სახელმწიფოს ვალდებულება მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომა ყოველი ბავშვის დასაცავად ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან, მათ შორის, შექმნას ეფექტური მექანიზმები ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციის, გამოვლენის, შეტყობინების, გასაჩივრების, რეფერირების, გამოძიების, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და მისი უფლებების აღდგენის სხვა საჭირო ღონისძიებების გასატარებლად.

კოდექსის მეორე კარის მეცხრე თავი (62-68 მუხლები) ადგენს ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის საკითხებს, რაც გულისხმობს ბავშვის უარყოფითი სოციალური გარემო ფაქტორების გავლენისგან დაცვას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე. მოწესრიგების სფეროში მიცავს ბავშვის დაცვას ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებებისგან. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კერძო და საჯარო იურიდიული პირები ვალდებული არიან დაიცვან ბავშვი ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების გამოყენებისგან საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. დაუშვებელია ბავშვის შრომითი საქმიანობა ისეთ დაწესებულებაში სადაც ხდება ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია.

ეს თავი აწესრიგებს ბავშვის დაცვას მედია სივრცეში, რომლის ფარგლებშიც დადგენილია მასმედიის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვები. შეზღუდვებს საფუძვლად უდევს ბავშვის ასაკობრივი ზღვარი და დღეღამის კონკრეტული დროის მონაკვეთი.

საჯარო კინოჩვენებებზე ბავშვი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვისათვის საჯარო ჩვენება დაშვებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ,

კანონმდებლობის საფუძველზე ან საქმე ეხება საინფორმაციო და საგანმანათლებლო შინაარსის ფილმებს და პროდუქტზე დატანილია მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ნიშანდება „საინფორმაციო“ ან „საგანმანათლებლო“. სამაუწყებლო კომპანიები ვალდებული არიან ფილმების და გასართობი პროგრამების მაუწყებლობა მოახდინონ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდების საფუძველზე. სატელევიზიო გადაცემებისთვის განსაზღვრული ნიშანდების რეგულაცია ვრცელდება, ასევე, საჯარო კინოჩვენებებზე და კომპიუტერულ პროგრამებზე. შეზღუდვა ასევე ვრცელდება ჟურნალ-გაზეთებზე და სხვა სახის პუბლიკაციებზე, რომელიც საშინელებების, ძალადობის, ეროტიკული და პორნოგრაფიული შინაარსის მატარებელია და საფრთხეს შეუქმნის ბავშვის ფსიქიკურ განვითარებას. დაუშვებელია მათი ბავშვზე მიყიდვა, ჩუქება ან სხვა ფორმით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბავშვის უფლებების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, ეს ტავი, ასევე ადგენს საჯარო ღონისძიებებში ბავშვის მონაწილეობის ხელმძღვანელის/ორგანიზატორის ვალდებულებებს. მოწესრიგების მიზანია, საჯარო ღონისძიებებში ბავშვის მონაწილეობის ხელმძღვანელს/ორგანიზატორს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილეთა მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია ბავშვის სპეციალური საჭიროებების შესახებ. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მას ასევე უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია ღონისძიების ინსტრუქტორის, მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის და გადამზიდვის კვალიფიკაციაზე, ტრანსპორტის გამართულობასა და ბავშვების განთავსების ადგილის სავაკუაციო გეგმის შესახებ. ძირითადი მოთხოვნაა, რომ ბავშვების საბავშვო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს იმ ოფიციალური გადამზიდვის (მეწარმე ფიზიკური ან იურიდიული პირის) მიერ, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას მგზავრობის უსაფრხოებაზე და ტრანსპორტის გამართულობაზე და რომლებსაც გავლილი აქვს ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით, აქვს მგზავრების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა, ჰყავს კვალიფიციური (შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე) მძღოლი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტრანსპორტირება მისი საჭიროების გათვალისწინებით. ბავშვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტირება დასაშვებია შესაბამისი ბავშვის სამოგზაურო დაზღვევის წარმოდგენის საფუძველზე.

კოდექსის მეორე კარის მეათე თავი (69-81) ადგენს ბავშვის უფლებებს ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში. ბავშვის უფლებების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია ბავშვის უფლებები ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში, რაც თავის მხრივ ემსახურება ბავშვის ძირითადი უფლებების და საუკეთესო ინტერესების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი არ აწესრიგებს ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხებს, კოდექსის ეს თავი ადგენს იმ ძირითად

მიდგომებს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ადმინისტრაციული წარმოება და სამართალწარმოება, რომელიც ხორციელდება ბავშვთან დაკავშირებით. ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სამართალწარმოების სტანდარტები ვრცელდება სასამართლოში ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და საოჯახო დავებზე. სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე ბავშვის უფლებების დაცვა ხდება საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ დადგენილი წესების გამოყენებით. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში ბავშვის მონაწილეობითი უფლებების განსაზღვრა არის ბავშვთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში მოსაწესრიგებელი საკითხი.

ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლო პროცესი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ბავშვთა მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების და საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით.

კოდექსის მესამე კარი განსაზღვრავს ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის და მხარდაჭერის ინსტიტუციურ გარანტიებს.

კოდექსის მესამე კარის მეთერთმეტე თავი (82-88 მუხლები) ქმნის ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის და მხარდაჭერის ინსტიტუციური მოწყობის ზოგად საფუძვლებს. ის ადგენს ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის და მხარდაჭერის ზოგად ღონისძიებებს. ეს გულისხმობს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების პრინციპის შესაბამისად, ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, კანონის მიღების, ბიუჯეტის დაგეგმვის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შექმნისა და განხორციელებისას. მეორე მოთხოვნაა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის და პროგრამების შემუშავება და განხორციელება მოხდეს განათლების, ჯანდაცვის, სოციალური და მართლმსაჯულების სექტორებს შორის კოორდინაციით და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზით, ბავშვების, აკადემიური წრეების, სამოქალაქო ორგანიზაციების და მედიის მონაწილეობით. მესამე, სახელმწიფო ქმნის მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ერთიან ელექტრონულ სისტემას, რომელიც მოიცავს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს ბავშვთა უფლებების რეალიზების კუთხით სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციის, ძალადობის გამომწვევი მიზეზების და შედეგების, შემთხვევების და მსჯავრდების რაოდენობის, პრევენციისა და რეაგირების ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ. ბავშვის უფლებათა დაცვის და მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

შეიმუშავებენ ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებს. კოდექსის საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ბავშვის მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზანია:

ა) ბავშვის სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ბავშვის განათლების ხელშეწყობა;

გ) ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

დ) ბავშვზე ზრუნვის ხელშეწყობა;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ვ) ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბავშვის მხარდაჭერის პროგრამებს ახორციელებენ უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ის შესაძლებელია განხორციელდეს, ასევე, კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემუშავებული პროგრამების ფარგლებში ან საკუთარი პროგრამების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

კოდექსში ჩამოყალიბებული პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვის მხარდაჭერის პოლიტიკის განსაზღვრისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებას ბავშვის მხარდაჭერის კერძო დაწესებულებების კონკურსის წესით შერჩევის საფუძველზე. როდესაც არჩევანი კეთდება ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის დაწესებულებების შექმნის სასარგებლოდ, გადაწყვეტილება ასეთი დაწესებულების შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ანალიზს, რომელიც უნდა ადასტურებდეს სერვისის ფუნქციის საკუთარი იურიდიული პირის ფორმით განხორციელების ეკონომიურობას და ეფექტიანობას, გადაწყვეტილების მიღების პროცედურათა გამარტივებას, სიახლოვეს საბოლოო ბენეფიციარებთან და ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობას.

ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოდექსით შემოთავაზებული მოდელი, კომპეტენციათა განაწილების თვალსაზრისით, ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რაც გულისხმობს სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის არ ხორციელდება ბავშვის მხარდაჭერის კერძო დაწესებულებების მიერ ან მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში.

კოდექსის მესამე კარის მეთორმეტე თავი განსაზღვრავს კოდექსით მოწესრიგებული ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის სფეროში უფლებამოსილ ორგანოებს.

ბავშვის კოდექსით განსაზღვრული ბავშვის უფლებების დაცვის სისტემის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მიერ შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელება. კოდექსის საფუძველზე განსახორციელებელი ღონისძიებების მმართველობის ცალკეული სფეროებისადმი მიკუთვნების პრინციპის საფუძველზე, განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა სფეროები.

საქართველოს პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო, განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების დაცვის და ბავშვის მხარდაჭერის პოლიტიკას და ახორციელებს საპარლამენტო კონტროლს ბავშვთა უფლებების დაცვის და ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე ამ საკითხებზე მომუშავე პარლამენტისადმი ანგარიშვალდებული ორგანოების მეშვეობით, კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს მთავრობის კომპეტენციაა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების დამტკიცება ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სფეროში, აგრეთვე, მათი შესრულების კოორდინაცია და კონტროლი სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენცია ვლინდება სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებასა და მისი შესრულების უზრუნველყოფის სფეროში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს ღონისძიებებს, რომელიც უზრუნველყოფს განათლების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას, რაც ხელს უწყობს ბავშვების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის შესაძლებლობის გაზრდას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს მოსამართლეთა პროფესიულ გადამზადებას ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში; ხელს უწყობს სასამართლოს მუშაობის ორგანიზებას ბავშვის დაცვის სფეროში დავების განხილვისას ასეთი დავებისათვის უპირატესობის მინიჭების და ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონიერების პრინციპებზე დაყრდნობით ზედამხედველობს საქართველოში ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას.

კოდექსი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს ბავშვის დაცვის სფეროში, რაც მოიცავს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობის ანალიზს, ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურების შექმნას, ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის პროგრამების შექმნას და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით მათ განხორციელებას. კოდექსის ეს თავი ადგენს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები. ძირითადი მოთხოვნაა, რომ სამსახურის მიერ საკუთარი უფლებამოსილებები განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. სამსახურში, სულ მცირე, დასაქმებული უნდა იყოს ბავშვის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.

კოდექსის მეოთხე კარის მეცამეტე თავი - გარდამავალი დებულებები ადგენს განსახორციელებელ ღონისძიებებს და მისარებ სამართლებრივ აქტებს.

დასკვნითი თებულებები მოცემულია კოდექსის მეოთხე კარის მეოთხმეტე თავში, რომელიც განსაზღვრავს კოდექსის ამოქმედების თარიღს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კოდექსი სრულფასოვნად ამოქმედდება 2020 წლის 1 ივნისიდან. აღნიშნულ თარიღამდე, შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეიმუშავონ და მიიღონ სათანადო კანონქვემდებარე აქტები, ამასთანავე, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა შეიმუშავდეს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამები და გატარდეს მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებები, რაც საჭიროებს გონივრულ ვადას - დაახლოებით 2020 წლის 1 ივნისამდე. ამასთან, სიმბოლურია ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედება 1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

არ ახდენს გავლენას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2020 წლის პირველი ივნისი.

უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებები გამოსცემენ კანონის იმპლემენტაციისთვის საჭირო მთელი რიგ კანონქვემდებარე აქტებს და ამტკიცებენ ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამებს, მათ შორის:

- 1) საქართველოს პარლამენტმა, 2020 წლის 1 იანვრამდე უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის განახლება წინამდებარე კოდექსის შესაბამისად, ხოლო 2019 წლის 1 ივნისამდე კოდექსის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა.
- 2) საქართველოს მთავრობამ, 2020 წლის 1 მარტამდე უნდა უზრუნველყოს შემდეგი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და დამტკიცება: „ბავშვის დაცვის და დახმარების სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული სტანდარტები, „ბავშვის დაცვის“ ტექნიკური რეგლამენტი“, „დენსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“.
- 3) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, 2020 წლის 1 მარტამდე, უნდა უზრუნველყოს შემდეგი პროგრამების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა: ბავშვის სოციალური აქტივობის განვითარების პროგრამები, ბავშვის სოციალური ინტეგრაციის პროგრამები, ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამები, ბავშვის დაცვის აღმზრდელიობითი პროგრამები, ბავშვის

ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროგრამები, ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამები.

-) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 2020 წლის 1 მარტამდე უნდა უზრუნველყოს შემდეგი პროგრამების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა: ბავშვის განათლების ხელშემწყობი პროგრამა; ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამები; ბავშვის მოხალისეობის პროგრამები; სამინისტროს კომპეტენციას დაქვემდებარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის პრევენციისა და რეაგირების პროგრამები.
-) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2020 წლის 1 მარტამდე უნდა უზრუნველყოს „ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების მოწესრიგების შესახებ“ დებულების შემუშავება და დამტკიცება.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში.

2019 წლის 1 ივნისამდე საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს კოდექსის იმპლემენტაციისთვის საჭირო სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებას. რა დროსაც, კომპეტენტური უწყებების ჩართულობით, მოხდება ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა 2020 წლისთვის, მათ შორის:

-) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებების განხორციელება საერთო სასამართლოებში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვის მიზნით.
-) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურების განსაზღვრა და შემდეგი პროგრამების შემუშავება: ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამები; ბავშვის სოციალური ინტეგრაციის პროგრამები; ბავშვის მოხალისეობის პროგრამები; ბავშვის განათლების ხელშემწყობი პროგრამები; ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები; ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამები; ბავშვის დაცვის აღმზრდელობითი პროგრამები.
-) სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება, ყველა მისი მომსახურების მიწოდებისას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვის მიზნით.

იმისათვის, რომ იურიდიული დახმარების სამსახური აღნიშნულ გამოწვევას შეხვდეს მზად საჭიროა გათვალისწინებული იქნეს კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით შემდეგი აუცილებელი ხარჯები:

2020 წლის პირველ ივნისამდე უზრუნველყოს ადამიანური რესურსების გაზრდა 17(ჩვიდმეტი) ერთეულით, რაც გულისხმობს თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატთა რიცხვოვნობის გაზრდას 5(ხუთი) სამტატო ერთეულით და 1(ერთი) მძღოლით, ხოლო დანარჩენი 11 იურიდიული დახმარების ბიუროს რიცხვოვნობის გაზრდას თითო სამტატო ერთეულით. რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლიურად დამატებით საჭირო იქნება დაახლოებით 471 335 (ოთხას სამოცდათერთმეტიას სამას ოცდათხუთმეტი) ლარის გამოყოფა, რაშიც მოიაზრება ადვოკატებისა და მძღოლის წლიური ხელფასის, მივლინების, გადამზადების, ავეჯის, კომპიუტერული ტექნიკის, ოფისის, ექსპერტიზის, ავტომობილის და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

ვინაიდან კოდექსი ძალაში შედის 2020 წლის პირველი ივნისიდან, ამავე წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი სავარაუდო თანხა იქნება 274 248 ლარი, საიდანაც 175 200 ლარის არის 6 თვის ხელფასის ხარჯი 17 ახალი თანამშრომლისთვის, ხოლო დარჩენილი 99 048 ლარი მოხმარდება კადრების გადამზადებას, დამატებითი საოფისე ინფრასტრუქტურის შექმნას (58 400 ლარის ოდენობით) და სხვა საოპერაციო ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის გაზრდილი ფუნქცია-მოვალეობის შესრულებასთან.

2021-2022 წლებისთვის 471 335 ლარი შემცირდება 58 400 ლარით და შეადგენს 412 935 ლარს, რადგან საოფისე ავეჯის და ტექნიკის შექმნა მოხდება ერთჯერედ, მხოლოდ 2020 წელს.

საქართველოს სახალხო დამცველმა უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება ყველა მისი მომსახურების მიწოდებისას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვის მიზნით.

- საქართველოს სახალხო დამცველს კოდექსის ამოქმედებისთანავე ეკისრება დამატებითი ვალდებულებები და ფუნქციები რომელთა შესასრულებლად საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების გატარება: ადამიანური რესურსის ზრდა - ბავშვის უფლებების ცენტრისათვის 2 სამტატო ერთეულების დამატება, 1 ფსიქოლოგი და 1 სოციალური მუშაკი . აღნიშნული ღონისძიების ხარჯი შეადგენს 31 200 ლარს.
- საერთაშორისო ექსპერტ-კონსულტანტის მოწვევა მონიტორინგის განახლებული და საჭიროებებს მორგებული მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით - მონიტორინგის პროცესის მეთოდოლოგიური სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის, კოდექსის

ამოქმედების შემდგომ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მოიწვევს საერთაშორისო ექსპერტ-კონსულტანტს, რომლის მეშვეობითაც შემუშავდება მონიტორინგის განახლებული და საჭიროებებს მორგებული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები. წლის განმავლობაში ერთი ექსპერტის მოწვევა. აღნიშნული ღონისძიების ხარჯი შეადგენს 10000 ლარს.

2020 წლისთვის საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს დაფინანსების ზრდა 41 200 ლარით. 2021 და 2022 წლებისთვის აღნიშნული ხარჯი არ შეიცვლება და ყოველწლიურ ბიუჯეტში დამატებით გასათვალისწინებელი იქნება 41 200 ლარი.

ყველა ჩამოთვლილი ღონისძიებების დანერგვა თითოეული უწყებისთვის გამოიწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს 2020 და შემდგომი წლებისთვის. კოდექსის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ხარჯების დეტალური დათვლა მოხდება იმპლემენტაციის გეგმის შემუშავების პერიოდში და ეს ხარჯები შესაბამისად აისახება როგორც 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში, ისე საშუალოვადიანი პერიოდის (2021-2022 წლები) ხარჯების დაგეგმვის შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციაში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

აღნიშნული კანონპროექტი წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებებს სახელმწიფოსთვის 2020 წლიდან. ამ თანხების კონკრეტული გათვლა კანონის ინიცირების ეტაპზე არის შეუძლებელი, რადგან კოდექსი ქმნის სამართლებრივ საფუძველს და სტანდარტებს მთელი რიგი სახელმწიფო პროგრამებისთვის, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე. სწორედ ამ პროგრამების საფუძველზე იქნება გონივრული ფინანსური გაანგარიშების გაკეთება შესაძლებელი და 2020 წლის ბიუჯეტში ასახვა.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ აუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/ შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის ფონდის (უნისეფის) საქართველოს წარმომადგენლობა. ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - სოფო კილაძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - პაატა ტურავა.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფო კილაძე, ანრი ოხანაშვილი, კარლო კოპალიანი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ლევან ბეჟანიძე, კობა ლურსმანაშვილი, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, მერაბ ქვარაია, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი კახიანი, ცოტნე ზურაბიანი, აკაკი ზოიძე, დიმიტრი მხეიძე, გოგა გულორდავა, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, მახირ დარზიევი, მირიან წიკლაური, მამუკა მდინარაძე.